PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №2

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა ქორთუა
წევრები: თამარ ლომინაძე

თბილისი, 2022წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405318570

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II ადმინისტრაციული წარმოების სახე :

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის №62876 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2022 წლის 7 თებერვალს განხორციელა ვიზიტი შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯში“, საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შპს "საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის" მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. ვებტექნოლოგიების პროგრამაზე 2021 წლის მიღების ფარგლებში მნიშვნელოვნად მაღალი იყო მოთხოვნა. რეგისტრირებული აპლიკანტები ბევრად აღემატებოდა არსებულ/დაშვებულ ზღვრულ რაოდენობას. (გამოცხადებულ 10 ადგილზე ონლაინ რეგისტრაცია გაიარა 158 აპლიკანტმა) შესაბამისად კოლეჯს სურს არსებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15 გაზარდოს 15 პროფესიული სტუდენტით. ანუ მთლიანად სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გახდეს 30.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულების შესაძლებლობების დადგენისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, განახორციელა გასაუბრებები დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ბიბლიოთეკართან, სტუდენტებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პრაქტიკის განმახორციელებთან, დაათვალიერა და გადაამოწმა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, A, B, C სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, კოლეჯმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. ხელშეკრულება გააფორმა დამატებით ერთ პრაქტიკის ობიექტთან - „შპს სოფთლაინ საქართველო“ - ს/კ 404867998; 17 ინვარი 2022 წ ობიექტი მზაობას გამოთქვამს მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი;
2. დაამატა კიდევ ერთი A (დაიმატა კიდევ ერთი მესამე სართული სადაც შესაძლებელი გახდა ორი A გარემოს განთავსება) და ერთი B-C სასწავლო გარემო (მე-4 სართული ორი B-C გარემო) და ამჟამად სწავლებისთვის ხელმისაწვდომია ორი A გარემო: A-1 (15 ადგილი), A-2 (15 ადგილი) და ორი B-C გარემო: B-C-1 (20 ადგილი) და B-C -2 (15 ადგილი)
3. კოლეჯს გააფორმებული აქვს ხელშეკრულება 14 პროფესიულ მასწავლებელთან. მიუხედავად იმისა რომ კოლეჯს ახალი პედაგოგები არ დაუმატებია, იმის გამო რომ ერთი პროფესიული პედაგოგი რამოდენიმე მოდულს განახორციელებს და ამასთანავე აღნიშნული პედაგოგები ძირითადად მხოლოდ ამ პროგრამაში იქნებიან ჩართული, არსებული პედაგოგებით კოლეჯი შეძლებს პროგრამის მდგრადობის შენარჩუნებას. ამასთანავე თითოეული პროფესიული მოდულისთვის და ინგლისური ენის სწავლებისათვის გათვალისწინებულია მინიმუმ ორი პედაგოგი.

ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

VII რეკომენდაციების შეჯამება

VIII ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის ოქმით 03/19
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი; ჯანო ბაგრატიონის 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 სტუდენტი; თბილისი; ჯანო ბაგრატიონის 6
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული	სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯს“ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო მიზნების რეალიზაციისათვის. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 15, დაწესებულებას ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლენლო პროგრამაზე ეყოლება - 30 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე მიიღებენ 30 პროფ სტუდენტს, ერთ ცვლაში, ორ ჯგუფად (15-15 სტუდენტი თითოეულ ჯგუფში). ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლენლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

A გარემო - დაწესებულებამ იჯარით დაიმატა მესამე სართული სადაც გამოყო ორი ოთახი 15-15 პროფესიულ სტუდენტზე, მხოლოდ ვებტექნოლოგიების პროგრამისათვის თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. A გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), კარადა.

B და C გარემო - გამოყოფილია ორი ოთახი მეოთხე სართულზე. ერთი ოთახი 15 სტუდენტზე და მეორე ოთახი 20 სტუდენტზე. თითოეულ გარემოში განთავსებულია კომპიუტერები სტუდენტების რაოდენობის მიხედვით და ერთიც პედაგოგისთვის. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯმა წარმოადგინა მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტთან. მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯი საჭირო ინვენტარით და ასევე განახორციელოს აღნიშნული ინვენტარის განახლება-შეკეთება. ვებტექნოლოგიებისთვის გამოყოფილი ტექნიკის სპეციფიკაცია გაუმჯობესებულია პროგრამით რეკომენდირებულ სპეციფიკაციებთან შედარებით. (A4 ; A5)

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის განმახორციელებლებთან:

1. შპს „ლაინსშეარ“ (ს/კ 405055657) 18.05.2021 - სტუდენთა სტაჟირება IOS, Android და ვებ დეველოპმენტის მიმართულებით;
2. შპს. ორინტ ლოჯიკი - (ს/კ 202052054) 30.08.2019; სტუდენტთა სტაჟირება - არაუმეტეს 60 სტუდენტი
3. *შ.პ.ს ლემონდუ ბიზნესი* -ს/კ 404973775 30.07.2019 - *სტუდენტთა სტაჟირება ვებ ტექნოლოგიების მიმართულებით. - 60 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.*

პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდნობის გაზრდის მიზნით კოლეჯმა დამატებით გააფორმა ხელშეკრულება **„შპს სოფთლაინ საქართველო“** - ს/კ 404867998; 17 ინვარი 2022 წ; - ვებტექნოლოგიის პროგრამის სტუდენტთა სტაჟირება - **30 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.**

აღნიშნული მემორანდუმების საფუძველზე - კოლეჯს აქვს შესაძლებლობლობა ერთდროულად 30 სტუდენტის სწავლების შემთხვევაში ყველა სტუდენტი დააკმაყოფილოს და გადაანაწილოს პრაქტიკის განმახორციელებთან.

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 14 პროფესიულ მასწავლებელთან, რომელთაგან 7 უძღვება ზოგად მოდულს, 1 ქართული ენას, ხოლო დანარჩენი პროფესიულ მოდულებს. თითოეულ პროფესიულ მოდულს უძღვება ორი პედაგოგი (ერთი და იგივე პროფესიული პედაგოგი კითხულობს რამოდენიმე მოდულს), ასევე გამოყოფილია 2 ინგლისური ენის პედაგოგი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება.

კოლეჯი პერიოდულად უზრუნველყოფს პროფესიული პედაგოგებისათვის ტრენინგების ჩატარებას. ვებტექნოლოგიების პროგრამაში ჩართულ პედაგოგებ ჩაუტარდათ როგორც შიდა ასევე გარე ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიებში და შეფასების სისტემებსა და ტექნიკებში. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ პედაგოგები ფლობენ შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა-გამოყენების და სწავლების ინტერაქტიულად ჩატარების მეთოდებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება და ასევე სამუშაო აღწერილობა.

სამუშაო აღწერილობაში ნათლად ჩანს მისი ფუნქციები, როგორიცაა ჩართულობა შემდეგ აქტივობებში: პროგრამის შემუშავება-ცვლილებების შეტანა, განმახორციელებელი პირების განსაზღვრა, სასწავლო გეგმების შესახებ განმახორციელებლების კონსულტირება, შეფასების ინსტრუმენტის მომზადება, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა, ინიცირება პროფესიული მასწავლებლების განვითარების საკითხებზე. ფორმალური განათლების აღიარება.

პროგრამის ხელმძღვანელთან ასევე გაფორმებულია დამატებით ხელშეკრულება - პრაქტიკული პროექტზე პასუხისმგებელი პედაგოგი. თუმცა ორივე ხელშეკრულებით განსაზღვრული დატვირთვა არ აჭარბებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყოველკვირეულ 40 სთ დატვირთვას.

პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან აქტიურად ხორციელდება თანამშრომლობა დამსაქმებლებთან. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან განხორციელდა დამატებით სასწავლო რესურსების და თემატიკის შემოტანა, რითაც უზრუნველყოფილ იქნა პროგრამით განსაზღვრულ სტანდარტთან შედარებით უფრო მაღალ შედეგებზე გასვლა (პროფესიული მოდულების უფრო სიღრმისეული სწავლება, მას მერე რაც მსმენელებმა დაძლიეს სტანდარტით განსაზღვრული შედეგები); Teams -ში შექმნილია ჯგუფი, რომელსაც პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს და სადაც სტუდენტები თავად გამოხატავენ ვებტექნოლოგიებთან დაკავშირებული დამატებითი საკითხების სწავლების სურვილს, მუშაობენ გუნდურად და ასევე თავადაც უზიარებენ ერთმანეთს საინტერესო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პსდ-ში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული სასწავლო რესურსზე წვდომა უზურნველყოფილია ბიბლიოთეკაში არსებული სამივე კომპიუტერიდან. მომხმარებლისათვის მასალების მიწოდება შესაძლებელია როგორც ადგილზე დაბეჭდვით ასევე ელექტრონულ მატარებლებზე გადატანით.

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯის „ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის #01/20 ოქმით; ცვლილება 2021წ20 მარტის #05/21) განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საფუძველი და პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველია შემდეგი სიტუაციები: 1. პროფესიული სტუდენტი ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; 2. მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან; 3. პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; 4. წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება; 5.პროფესიულ სტუდენტს სჭირდება სასწავლო რესურსებთან ადაპტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასევე პროგრამის დანართებში - თოთოოულ მოდულში განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების და შეფასების სპეციფიკა, კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

აღსანიშნავია, რომ რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩაირიცხვის შემთხვევაში დაწესებულება მზადაა გაუწიოს მას საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის მიწოდება, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნა და სხვა.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური ბიუჯეტი წარმოადგენს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია ვაუჩერული დაფინანსება და საქართველოს უნივერსიტეტის მხრიდან დონაცია. უნივერსიტეტის დონაცია გაიზრდება იმ რაოდენობის მიხედვით, რა რაოდენობის სტუდენტების დანაკლისიც ექნება პროგრამას. ამ ეტაპზე 30 ზღვრულ სტუდენტზე გაანგარიშებით ერთ სტუდენტზე დონაციით გამოყოფილია 500 ლარი.

ხარჯებში გათვალისწინებულია მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება ბიუჯეტის 42%, ადმინისტრაციის ანაზღაურება 18%, და სხვა ხარჯები, რომელიც მოიცავს კომუნალური ხარჯებს, იჯარას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, პერსონალის განვითარებას, საოფისე ხარჯებს. (40%) აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 30 პროფესიული სტუდენტი.

შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და სწავლების მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პედაგოგების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები
2. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დამტკიცებული აკადემიური საბჭო 2021 წლის 29 ივლისი, #12/21 ოქმი.
3. ბრძანება #02/2/19 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვებტექნოლოგიების ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა -დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის #01/20 ოქმით; ცვლილება 2021წ20 მარტის #05/21
5. მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტთან მატერიალური აღჭურვილობის ფლობაზე
6. ბიბლიოთეკის ფონდში შერჩევითი გადამოწმება ვებტექნოლოგიების მოდულებში მითითებული ლიტერატურის
7. ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულება ცოტნე ჩადუნელთან ტრენინგის ჩატარებაზე - 15 მაისი 2021 წ
8. შიდა ჩატარებული ტრენინგის ოქმი - 28 ოქტომბერი 2021 წ
9. A, B, C გარემოს და მატერალური რესურსების, აღჭურვილობების დათვალიერება
10. გასაუბრებები: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორი, პედაგოგები, სტუდენტები, პრაქტიკის განმახორციელებლები.
11. პროგრამა და მისი დანართები
12. პროგრამული ბიუჯეტი
13. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
14. გასაუბრება

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი

15.02.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: